ეკონომიკური მიმოხილვა
ოქტომბერი 2014წ.
შინაარსი

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები 3

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 3

ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა 3

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში 3

ფასები 3

ლარის გაცვლითი კურსი 3

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 4

საგარეო ვაჭრობა 4

მეზობელი ქვეყნების გავლენა 4

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 4

საკრედიტო რეიტინგები 5

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ 5

სახელმწიფო ვალი 5

ახალი პროგრამა სავალუტო ფონდთან 5

ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა 6

ეკონომიკური ზრდა 6

სახელმწიფო ფინანსები 7

საგადამხდელო ბალანსი 7

საგარეო ვაჭრობა 7

ფასები 9

სავალუტო კურსი 9

საპროცენტო განაკვეთები 10

მონეტარული მაჩვენებლები 12

ფულადი გზავნილები 12

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის 9 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ 13

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ 14
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი და მოსალოდნელი მაჩვენებლები 18
მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი 18
ეკონომიკური აქტივობის ანალიზი დარგობრივ ჭრილში (დღგ-ს ბრუნვები) 23
საგადამხდელო ბალანსი 27
მიმდინარე ანგარიში 28
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში 29
საქართველო და მეზობელი ქვეყნები 30
ეკონომიკური ზრდა 30
ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 30
ინფლაცია 31
სავალუტო კურსი (2014 წლის 31 სექტემბერი 2014 წლის 31 აგვისტოსთან შედარებით) 31
სავალუტო კურსი (2014 წლის 31 სექტემბერი, 2013 წლის დეკემბერთან შედარებით) 32

7 ოქტომბერი, 2014 წ.

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

წინასწარი შეფასებით, 2014 წლის პირველ რვა თვეში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 6.1 პროცენტი შეადგინა. აგვისტოს თვეში, წინა წლის აგვისტოსთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 5.2 პროცენტით გაიზარდა.
2014 წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5-6 პროცენტის ფარგლებშია, რაც შეესაბამება საქართველოს ეკონომიკის პოტენციური ზრდის ტემპს, რომელიც 6 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა

მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში ეკონომიკური აქტივობის წარმარმთველი დარგებია ვაჭრობა, მშენებლობა და მრეწველობა.

2014 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკის უმსხვილეს დარგებს წარმოედგენენ: ვაჭრობა (14.7%), დამამუშავებელი მრეწველობა(9.1%), სახელმწიფო მმართველობა (8.3%), სოფლის მეურნეობა (8.0%).

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ ზრდაში აშკარა წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. პროდუქციის გამოშვება სამეწარმეო სექტორში წლის პირველ ნახევარში გაიზარდა 13,1 პროცენტით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა - 7 ათასი ადამიანით, კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები - 36 პროცენტით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 15 პროცენტით[1].

ფასები

საქართველო მონეტარული პოლიტიკა მისდევს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას საქართველოს მიზნობრივი ინფლაცია 2015 წლიდან 5 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას ეროვნული ბანკი წლის ბოლოსთვის ვარაუდობს. 2014 წლის რვა თვის მშპ-ის დეფლატორის საშუალო საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4.3 პროცენტს.

ლარის გაცვლითი კურსი

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს თავისუფლად მცურავ სავალუტო კურსის პოლიტიკას. 2014 წლის დასაწყისში ლარის გაუფასურების ტენდენცია შეცვალა გამყარების ტენდენციამ. მერყეობა, რომელიც ლარის გაცვლით კურსს ახასიათებს ნორმალური მოვლენაა და ასეთი მერყეობა როგორც გამყარების ისე გაუფასურების მიმართულებით მომავალშიც გვექნება.

---

[1] პირდაპირი უცხოური ინვესტიცების ზრდაში ჩათვლილია ის ინვესტიციები, რომლებიც წინა პერიოდში ითვლებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად, ხოლო 2014 წლის მეორე კვარტალში რეკლასიფიცირდა პორტფელურ ინვესტიციებად.

2014 წლის იანვართან შედარებით 2014 წლის 30 სექტემბრისთვის ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 0.91 პროცენტით, ხოლო ევროსთან მიმართებაში 7.0 პროცენტით გამყარდა.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

2014 წლის 9 თვის მონაცემებით, ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიური საგადასახადო შემოსავლები საპროგნოზო მაჩვენებლებს 1,9 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელს 12.2 პროცენტით აჭარბებს.

2014 წლის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ტენდენციებზე დაყრდნობილი პროგნოზის მიხედვით გადასახადების დაგეგმილი 2014 წლის მაჩვენებელი გადაჭარბებით შესრულდება.

საგარეო ვაჭრობა

მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტი გაიზარდა 8.7 პროცენტით, მათ შორის რუსეთში 118 პროცენტით, თურქეთში 30.6 პროცენტით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში 27.1 პროცენტით. 19.2 პროცენტით შემცირდა ექსპორტი აზერბაიჯანში.

2014 წლის რვა თვეში იმპორტი გაიზარდა 12.6 პროცენტით, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 11.6 პროცენტით.

მეზობელი ქვეყნების გავლენა

საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში: უკრაინასა და რუსეთში ეკონომიკური სტაგნაციის ტენდენციებია. ამ ქვეყნების ეკონომიკური პრობლემის საქართველოზე გავრცელების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს მათთან ვაჭრობა და აღნიშნული ქვეყნებიდან მომდინარე ფულადი გზავნილები.

2014 წლის იანვარ-აგვისტო საგარეო ვაჭრობის ანალიზში შენარჩუნებულია ექსპორტის დინამიკა აღნიშნულ ქვეყნებთან. თუმცა, შეინიშნება ექსპოპრტის ზრდის ტემპების შემცირება აღნიშნულ ქვეყნებში.

ფულადი გზავნილების შემცირების ტენდენცია შეინიშნება რუსეთიდან (-6,5%) და უკრაინიდან (-20,0%), რაც კომპენსირდება სხვა ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყურადღებით აკვირდება მიმდინარე პროცესებს და აანალიზებს აღნიშნული ქვეყნებიდან მომდინარე შესაძლო მაკროეკონომიკურ რისკებს.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2013 წელს საგრძნობლად შემცირდა მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.9 პროცენტი შეადგინა. დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამაც 2013 წელს შეადგინა დეფიციტის 95 პროცენტი.

2014 წლისათვის მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა 8.0-8.5 პროცენტამდე. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 6-7 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნებისაკენ.

საკრედიტო რეიტინგები

2014 წლის მაისში, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებმა Moody's-მა შეაფასა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი და გაზარდა იგი Ba3 სტაბილურიდან Ba3 პოზიტიურამდე.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"

საქართველოს მთავრობამ დაასრულა მუშაობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე. სტრატეგია სამ ძირითად პილარს ეფუძნება: ადამიანური კაპიტალის განვითარება, კონკურენტუნარიანობის ზრდა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. აღნიშნული სტრატეგია დაედება საფუძვლად ქვეყანაში სოციალ-ეკონომიკურ რეფორმებს. სტრატეგიის მთავარი მიზანია, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. აღნიშნულ მიზნებთან შესაბამისობაშია ეკონომიკის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების დინამიკა: 2013 წელს ჯინის ინდექსი შემცირდა 0.041-დან 0.40-მდე, უმუშევრობა შემცირდა 15,0 პროცენტიდან 14,6 პროცენტამდე.

სახელმწიფო ვალი

მთავრობის ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2014 წლის ბოლოსათვის, სავარაუდოდ, მშპ-ს 35.6 პროცენტის დონეზე იქნება. აქედან, საგარეო ვალი იქნება 26.9, ხოლო საშინაო ვალი 8.7 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებელი სახელმწიფო ვალის კრიტიკულ მაჩვენებლისგან საკმაოდ შორსაა.

ახალი პროგრამა სავალუტო ფონდთან

მიმდინარე წლის 31 ივლისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასულებელმა საბჭომ დაამტკიცა 36 თვიანი (100 მლნ SDR) საქართველოს მთავრობის ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მაკროეკონომიკური მოწყვლადობა, გავაფართოვოთ ეკონომიკური პოლიტიკის ბუფერები და გავაუმჯობესოთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, რაც ქვეყნის ეკონომიკას გახდის უფრო მდგრადს საგარეო შოკების მიმართ. პროგრამის ფარგლებში ფინანსურ მხარდაჭერაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ქვეყნის მიმართ ნდობის ხარისხს ასწევს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრებია: 5-6 პროცენტის რეალური ეკონომიკური ზრდა; საბიუჯეტო დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება 2014 წელს დაგეგმილი მშპ-ის 3,7 პროცენტიდან 2015 წელს 3,0 პროცენტამდე და 2016 წელს 2,6 პროცენტამდე.

ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

2014 წლის აგვისტოში ეკონომიკა 5.2 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე წლის აგვისტოში, 2013 წლის აგვისტოსთან შედარებით ეკონომიკურმა ზრდამ 5.2 პროცენტი შეადგინა. ამასთან, მშპ იანვარ-აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.1 პროცენტით გაიზარდა. 2014 წლის პირველ რვა თვეში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 18,528 მლნ ლარს.

2014 წლის აგვისტოში ეკონომიკური აქტივობა 9.2 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური აქტივობა გაიანგარიშება დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვის ოპერატიული მონაცემებზე დაყრდნობით. ეკონომიკური აქტივობა აგვისტოში 9.2 პროცენტით, ხოლო იანვარ-აგვისტოში 13.1 პროცენტით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

წლიური და სეზონურად შესწორებული მშპ-ს ზრდა და დღგ-ს გადამხდელ ბრუნვათა ცვლილება



ეკონომიკური ზრდის წარმმართველი სექტორებია ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა და ტრანსპორტი. წლის პირველ ნახევარში მაღალი ზრდის ტემპები აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (16.5 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (11.1 პროცენტი), ვაჭრობა (9,1 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (7.8 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით (7.5 პროცენტი), კლება დაფიქსირდა სამთომოპოვებით მრეწველობაში (10,6 პროცენტი).

იანვარ-აგვისტოს ეკონომიკურ აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდი გავლენა ვაჭრობის სექტორს ჰქონდა, სადაც ზრდამ 2014 წლის რვა თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან

შედარებით შეადგინა 9.3 პროცენტი, მშენებლობა (32.7%), ოპერაციები უძრავი ქონებით (18.8%), სასტუმროები და რესტორნები (12.5%) და ა.შ.

ეკონომიკური ზრდის წარმმართველ ფაქტორს კერძო ინვესტიციები შეადგენს. 2014 წლის მაღალი ზრდა დაფიქსირდა კერძო ინვესტიციებში, რომელიც 2014 წლის პირველ ნახევარში 36 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში 7.0 პროცენტით გაიზარდა სამომხმარებლო ხარჯი და 40.3 პროცენტით უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რაც იმპორტის გამოცოცხლებით არის გამოწვეული.

სახელმწიფო ფინანსები

2014 წლის 8 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 5 072,4 მლნ ლარი. მათ შორის საგადასახადო შემოსავლებმა 4 621,3 მლნ ლარი. ამ პერიოდისათვის ხარჯების მოცულობამ 4 806,8 მლნ ლარი შეადგინა. ხოლო არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდამ 448,2 მლნ ლარი. შესაბამისად ბიუჯეტის საოპერაციო სალდო დადებითია და შეადგენს 265,6 მლნ ლარს, ხოლო მთლიანი სალდოს დეფიციტი -182,6 მლნ ლარს, რაც მშპ-ის 1,0 პროცენტია. ბიუჯეტის დეფიციტი GFSM 1986 წლის კლასიფიკაციით შეადგენს 328,3 მლნ ლარს, რაც მშპ-ის 1,8 პროცენტია.

საგადამხდელო ბალანსი

ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წინასწარმა მაჩვენებელმე 2014 წლის მეორე კვარტალში მშპ-ის 9.5 პროცენტი შეადგინა. წლის პირველი ნახევრის მონაცემებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 9.8 პროცენტია.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყაროებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები[2] (61.6%) და სარეზერვო აქტივები (44%). სხვა ინვესტიციებში კი შეინიშნებოდა კაპიტალის მცირეოდენი გადინება.

საგარეო ვაჭრობა

2014 წლის აგვისტოში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ექსპორტი 12.8 პროცენტით, ხოლო იმპორტი 2.0 პროცენტით შემცირდა. იმპორტი შემცირდა 13.7 მლნ აშშ დოლარით (2.0 პროცენტი), ხოლო ექსპორტი 36.4 მლნ აშშ დოლარით (12.8 პროცენტი). კლების ძირითადი ფაქტორია აზერბაიჯანში ავტომობილების ექსპორტის შემცირება. ასევე ადგილი ჰქონდა ერთჯერად არატრენდულ შემცირებას. ამ პერიოდში 22.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და შეადგინა 434.5 მლნ აშშ დოლარი. სავაჭრო ბრუნვა 50.2 მლნ ლარით შემცირდა (5.1 პროცენტი).

---

[2] პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაში ჩათვლილია ის ინვესტიციები, რომლებიც წინა პერიოდში ითვლებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად, ხოლო 2014 წლის მეორე კვარტალში რეკლასიფიცირდა პორტფელურ ინვესტიციებად.

2014 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12%-ით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტი გაიზარდა 9%-ით, ხოლო საქონლის იმპორტი კი 13%-ით.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2014 წლის 8 თვის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 17.0%-ს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.5%), ჩინეთი (7.3%) და ა.შ.

ექსპორტში 19.8%-ით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე სომხეთი 10.6%, მესამეზე რუსეთი 9.6% , ხოლო მეოთხე პოზიციაზე იმყოფება თურქეთი 8.3% და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი 20.1%-ით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან ჩინეთი (8.9%), აზერბაიჯანი (7.2%), უკრაინა (6.1%) და ა.შ.

საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 19.0%-ით მსუბუქი ავტომობილებია, შემდეგ პოზიციებზე იმყოფებიან ფეროშენადნობები (10.5%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (9.7%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (5.9%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი პირველ ადგილზე 11.1%-ით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (8.4%), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3.9%), სამკურნალო საშუალებები (3.7%) და ა.შ.

წინასწარი მონაცემებით 2014 წლის სექტემბერში, წინა წლის სექტემბერთან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4.5 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, ექსპორტი 0.1 პროცენტით, ხოლო იმპორტი კი 5.7 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობა (ათასი აშშ დოლარი)



ფასები

2014 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 1.2 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ცვლილებამ. აღნიშნულ ჯგუფში ფასები 3.3 პროცენტით გაიზარდა, რაც სექტემბრის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.96 პროცენტული პუნქტით აისახა.

სამომხმარებლო ფასები 2014 წლის სექტემბერში 2013 წლის სექტემბერთან შედარებით 4.8 პროცენტი შეადგინა. 12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 2.56 პროცენტით, ხოლო ჯანდაცვამ 1.37 პროცენტით. ინფლაციის ზრდა მნიშვნელოვანწილად საბაზისო ეფექტითაც არის გამოწვეული. 2013 წლის სექტემბერში ფასების დონის კლება 1.3 პროცენტი შეადგინა.

2014 წლის აგვისტოში, 2014 წლის ივლისთან შედარებით, მშპ-ს დეფლატორი 0.13 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.3 პროცენტით გაიზარდა.

სამომხმარებლო ფასების და მშპ-ს დეფლატორის წლიური ცვლილება



სავალუტო კურსი

ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა, ხოლო ევროსთან მიმართებაში გამყარდა. ლარის სავალუტო კურსი აშშ დოლართან მიმართებაში სექტემბერში 1.736-დან 1.752-მდე გაუფასურდა, ევროსთან მიმართებაში კი 2.289-დან 2.223-მდე გამყარდა. აშშ დოლარის საშუალო თვიურმა გაუფასურებამ სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით 0.9 პროცენტი შეადგინა, ევროსთან გამყარებამ კი 2.2 პროცენტი.

ლარის ნომინალური ეფექტური სავალუტო კურსი გამყარდა. 2014 წლის სექტემბერში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი აგვისტოსთან შედარებით 0.9 პროცენტით გამყარდა.

რეალური ეფექტური სავალუტო კურსი გამყარდა. 2014 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 4.5 პროცენტით გამყარდა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსი 2011 წლის იანვარი=100 (ზრდა=გამყარება)



საპროცენტო განაკვეთები

შემცირდა საპროცენტო განაკვეთები სახაზინო ვალდებულებებზე და ობლიგაციებზე. 2014 წლის სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით 0.21 პროცენტული პუნქტით შემცირდა 12 თვიანი, ხოლო 0.2 პროცენტული პუნქტით 2 წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთი.

2014 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა სესხზე საპროცენტო განაკვეთები. აღნიშნულ პერიოდში 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, მათ შორის 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე, ხოლო 0.04 პროცენტული პუნქტით გაიზარდა უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე.

2014 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ლომბარდულ, იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად 5.7, 2.2 და 1.5 პროცენტული პუნქტებით შემცირდა.

2014 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით (0.3 პროცენტული პუნქტით) შემცირდა დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთები. მათ შორის 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა

დეპოზიტების პროცენტი ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 0.5 პროცენტული პუნქტით უცხოურ ვალუტაში.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები



შემცირდა სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი. 2014 წლის სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით ეროვნული ბანკის ექვსთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საშუალოთვიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.03 პროცენტული პუნქტით, 4.19 პროცენტიდან 4.16 პროცენტამდე შემცირდა.

არ შეცვლილა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. 2014 წლის სექტემბერში არ შეცვლილა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და 2014 წლის 7 თებერვლიდან კვლავ 4 პროცენტი დაფიქსირდა.

საპროცენტო განაკვეთები



მონეტარული მაჩვენებლები

2014 წლის სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფულის მასა 17.2 პროცენტით გაიზარდა. იმავე პერიოდში წინა წლის სექტემბერთან შედარებით, სარეზერვო ფული 401.0 მლნ ლარით - 11.0 პროცენტით გაიზარდა.

შემცირდა უცხოური რეზერვები. ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 2013 წლის ნოემბრიდან მცირდებოდა. თუმცა, 2014 წლის ივლისიდან კვლავ ზრდის ტენდენცია შეინიშნება. 2014 წლის სექტემბრის ბოლოსათვის ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2 701 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იმპორტის 3 თვის ჯერადზე მეტია.

შემცირდა დოლარიზაციის კოეფიციენტი. 2014 წელს დეპოზიტების და სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელს გააჩნია შემცირებადი ტენდენცია. დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან სექტემბრამდე პერიოდში 58,8 პროცენტიდან 57,1 პროცენტამდე შემცირდა. ხოლო სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 62,4 პროცენტიდან 59,6 პროცენტამდე.

დოლარიზაციის კოეფიციენტები



ფულადი გზავნილები

2014 წლის აგვისტოში გაიზარდა საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილები. 2014 წლის აგვისტოში, საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილები, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.9 პროცენტით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა იანვარ-აგვისტო მონაცემებითაც, 2013 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გზავნილები 3.2 პროცენტით გაიზარდა.

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის 9 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2014 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 739 612,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 823 441,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,5%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 209 200,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 307 882,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,9%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 123 715,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 131 477,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106,3%.

სხვა შემოსავლების 2014 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 406 697,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 384 080.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94,4%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 92 097.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (73 900,0 ათასი ლარი) 124,6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 54 812.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (49 100,0 ათასი ლარი) 111,6%-ია.

2014 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი			
	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**5,739,612.0**	**5,823,441.0**	**83,829.0**	**101.5**
გადასახადები	**5,209,200.0**	**5,307,882.9**	**98,682.9**	**101.9**
საშემოსავლო გადასახადი	1,318,100.0	1,376,488.5	58,388.5	104.4
მოგების გადასახადი	736,500.0	660,209.1	-76,290.9	89.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,320,100.0	2,421,913.7	101,813.7	104.4
აქციზი	540,400.0	593,157.8	52,757.8	109.8
იმპორტის გადასახადი	73,200.0	73,373.3	173.3	100.2
ქონების გადასახადი	203,500.0	166,332.5	-37,167.5	81.7
სხვა გადასახადი	17,400.0	16,408.0	-992.0	94.3
გრანტები	**123,715.0**	**131,477.6**	**7,762.6**	**106.3**
სხვა შემოსავლები	**406,697.0**	**384,080.5**	**-22,616.5**	**94.4**

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2014 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 307 945,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 352 983,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,8%.

2014 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**5,307,945.0**	**5,352,983.7**	**45,038.7**	**100.8**
გადასახადები	4,908,700.0	5,039,306.5	130,606.5	102.7
გრანტები	123,715.0	130,867.2	7,152.2	105.8
სხვა შემოსავლები	275,530.0	182,810.0	-92,720.0	66.3

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 908 700.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 039 306.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,7%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 274 297,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 221 100,0 ათასი ლარი) 104,4%-ია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება. აღნიშნული თანხები აპრილ-სექტემბერში დაუბრუნდა 461 534 ფიზიკურ პირს და ჯამში 127 716,7 ათასი ლარი შეადგინა.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 660 209,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (736 500,0 ათასი ლარი) 89,6%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 421 913,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 320 100,0 ათასი ლარი) 104,4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 593 157,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (540 400,0 ათასი ლარი) 109,8%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 73 373,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (73 200,0 ათასი ლარი) 100,2%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 16 355,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 400,0 ათასი ლარი) 94,0%-ია.

2014 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**4,908,700.0**	**5,039,306.5**	**130,606.5**	**102.7**
საშემოსავლო გადასახადი	1,221,100.0	1,274,297.0	53,197.0	104.4
მოგების გადასახადი	736,500.0	660,209.1	-76,290.9	89.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,320,100.0	2,421,913.7	101,813.7	104.4
აქციზი	540,400.0	593,157.8	52,757.8	109.8
იმპორტის გადასახადი	73,200.0	73,373.3	173.3	100.2
სხვა გადასახადი	17,400.0	16,355.6	-1,044.4	94.0

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 123 715,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 130 867,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105,8%.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 275 530,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 182 810,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 66,3%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 20 768.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (78 250,0 ათასი ლარი) 26,5%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 16 309.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 000,0 ათასი ლარი) 95,9%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 147,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55 000,0 ათასი ლარი) 0,3%-ია. ფაქტიური შესრულების ასეთი დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომაზე ჯერ არ არის წარმოდგენილი წინადადებები ენერგეტიკის სამინისტროს მართვაში არსებული ზოგიერთი მსხვილი საწარმოს 2013 წლის წმინდა მოგების განაწილების შესახებ. კომისიის ჩატარების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად გაფორმდება სათანადო შეთანხმებები, რომლის მიხედვით განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვა, დივიდენდების სახით.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 4 311.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 250.0 ათასი ლარი) 69,0%-ია.

- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 44 031.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (43 680,0 ათასი ლარი) 100,8%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 41 531.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (42 320,0 ათასი ლარი) 98,1%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 1 018.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (540,0 ათასი ლარი) 188,6%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 27 002.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 000,0 ათასი ლარი) 96,4%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 893.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (720,0 ათასი ლარი) 124,1%-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი - 10 558.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 500,0 ათასი ლარი) 100,6%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 1 028.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 150,0 ათასი ლარი) 89,4%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 806.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 050,0 ათასი ლარი) 76,8%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 223.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (360,0 ათასი ლარი) 62,0%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 2 499.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 360,0 ათასი ლარი) 183,8%-ია. მათ შორის:
    - საქონლის რეალიზაციიდან - 266.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (140,0 ათასი ლარი) 190,6%-ია;
    - მომსახურების გაწევიდან - 2 101.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 220,0 ათასი ლარი) 172,3%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 53 977.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 000,0 ათასი ლარი) 77,1%-ია. ფაქტიური შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ შემცირებულია შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სახეში, რაც ძირითადად გამოწვეულია 2013 წელს ზოგიერთი სახეობის ჯარიმის ოდენობის შემცირებით, აგრეთვე მნიშვნელოვნადაა შემცირებული შემოსავალი სანქციებიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 64 017.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (83 600,0 ათასი ლარი) 76,6%-ია. აღნიშნულ სახეში ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან დაგეგმილი იყო 50 000.0 ათასი ლარის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში. 9 თვის მონაცემებით მიიმართა მხოლოდ 32 000.0 ათასი ლარი (სსიპ - შემოსავლების სამსახური 15 მლნ ლარი; სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - 14 მლნ ლარი; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - 2

მლნ ლარი და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - 1 მლნ ლარი), რამაც ბიუჯეტში 18.0 მლნ ლარის დანაკლისი გამოიწვია.

2014 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**275,530.0**	**182,810.0**	**-92,720.0**	**66.3**
შემოსავლები საკუთრებიდან	**78,250.0**	**20,768.4**	**-57,481.6**	**26.5**
პროცენტები	17,000.0	16,309.0	-691.0	95.9
დივიდენდები	55,000.0	147.5	-54,852.5	0.3
რენტა	6,250.0	4,311.9	-1,938.1	69.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**43,680.0**	**44,031.2**	**351.2**	**100.8**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	**42,320.0**	**41,531.8**	**-788.2**	**98.1**
სალიცენზიო მოსარებლები	540.0	1,018.5	478.5	188.6
სანებართვო მოსარებლები	28,000.0	27,002.8	-997.2	96.4
სარეგისტრაციო მასაკრებლები	720.0	893.2	173.2	124.1
სახელმწიფო ბაჟი	10,500.0	10,558.7	58.7	100.6
საკონსულო მოსაკრებელი	1,150.0	1,028.1	-121.9	89.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,050.0	806.2	-243.8	76.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	360.0	224.3	-136.6	62.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**1,360.0**	**2,499.4**	**1,139.4**	**183.8**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	140.0	266.9	126.9	190.6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,220.0	2,101.9	881.9	172.3
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		130.6		
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**70,000.0**	**53,977.0**	**-16,023.0**	**77.1**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		**16.3**	**16.3**	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**83,600.0**	**64,017.1**	**-19,582.9**	**76.6**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 65 981.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (61 500,0 ათასი ლარი) 107,3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 52 813.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (49 100,0 ათასი ლარი) 107,6%-ია.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი და მოსალოდნელი მაჩვენებლები

2014 წლის იანვარ-სექტემბერში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 5823,4 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 73,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 73,4 პროცენტს შეადგენს.

2014 წლის იანვარ-სექტემბრის ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება

	პროგნოზი 2014 წ.	ფაქტი 9 თვე	შესრულება %
შემოსავლები	7 909 000,0	5 823 441,0	73,6%
გადასახადები	7 230 000,0	5 307 882,9	73,4%
გრანტები	144 000,0	131 477,6	91,3%
სხვა შემოსავლები	535 000,0	384 080,5	71,8%

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2014 წლის იანვარ-სექტემბერში გადასახადების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 5307,9 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9,6 პროცენტით (464,9 მლნ ლარი) მეტია. 2014 წლის იანვარ-სექტემბრის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 101,9 პროცენტით შესრულდა, და ნომინალურ გამოხატულებაში ფაქტიურმა მაჩვენებელმა საპროგნოზოს 98,7 მლნ ლარით გადააჭარბა.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა-ფაქტი
2014 წლის იანვარ-სექტემბერი



საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1376,5 მლნ ლარი, თუმცა ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება. აღნიშნული თანხები აპრილ-სექტემბერში დაუბრუნდა 461 534 ფიზიკურ პირს და ჯამში 127,7 მლნ ლარი შეადგინა. თუ ფაქტიურ მაჩვენებელში გავითვალისწინებთ დაბრუნებული დაუბეგრავი მინიმუმის თანხებს, მაშინ საშემოსავლო გადასახადი 11,0 პროცენტით (149,5 მლნ ლარი) აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს.

დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გაზრდილია 9,9 პროცენტით[3], მათ შორის, საბიუჯეტო სექტორიდან 16,6 პროცენტით, ხოლო არასაბიუჯეტო სექტორიდან 8,3 პროცენტით. აგრეთვე 17,8 პროცენტით გაზრდილია მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული საშემოსავლო გადასახადი.

მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 660,2 მლნ ლარი, რაც 2,7 პროცენტით (17,7 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებულია 2421,9 მლნ ლარი, რაც 17,8 პროცენტით (365,8 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე. მიღებული შემოსავლები გაზრდილია როგორც ტერიტორიიდან, ასევე იმპორტიდანაც. ტერიტორიაზე გადახდილი დღგ 1,9 პროცენტით გაიზარდა, რაც ასევე ეკონომიკის გააქტიურების მაჩვენებელია. იმპორტზე გადახდილი დღგ 80,9 პროცენტით გაიზარდა, რაც განპირობებულია საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებით, კერძოდ 2014 წლის პირველი ივნისიდან გაუქმებულია იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესი.

აქციზის გადასახადიდან მობილიზებულია 593,2 მლნ ლარი, რაც 9,3 პროცენტით (50,3 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე, მათ შორის აქციზის გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან გაზრდილია 15,4 პროცენტით. ამასთან, გაზრდილია შემოსავლები მსუბუქი ავტომობილების აქციზიდან 17,8 პროცენტით (14,8 მლნ ლარი), ლუდი/არყის აქციზიდან 12,7 პროცენტით (4,8 მლნ ლარი) და ნავთობპროდუქტების აქციზიდან 9,1 პროცენტით (10,6 მლნ ლარი).

იმპორტის გადასახადიდან მობილიზებულია 73,4 მლნ ლარი, რაც 14,0 პროცენტით (9,0 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე. აღნიშნული ზრდა განაპირობა, როგორც იმპორტის ზრდამ, ასევე სავალუტო კურსის ცვლილებამაც.

---

[3] 2014 წ. დამატებულია მიმდინარე წლის აპრილ-სექტემბერში დაბრუნებული დაუბეგრავი მინიმუმის თანხა (127,7 მლნ ლარი)

ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 166,3 მლნ ლარი, რაც 3,0 პროცენტით (4,9 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

გადასახადების ისტორიული დინამიკა

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა, იანვარ-სექტემბერი 2011-2014წწ.



ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების დინამიკა სახეობების მიხედვით, იანვარ-სექტემბერი 2011-2014წწ.



ზრდა დაფიქსირდა საშემოსავლო გადასახადში, დამატებული ღირებულების გადასახადში, აქციზის და იმპორტის გადასახადებში. დეტალური შესწავლა მიუთითებს, რომ იმპორტის გადასახადის ზრდა განაპირობა იმპორტის ზრდამ და სავალუტო კურსის გაუფასურებამ.

აქციზის გადასახადი, იანვარ-სექტემბერი 2011-2014წწ.

წინა წელთან შედარებით აქციზის გადასახადის ზრდა ძირითადად განაპირობა თამბაქოს, ნავთობპროდუქტების, ლუდი/არყისა და მსუბუქი ავტომობილების აქციზიდან მიღებულმა შემოსავლებმა.

აქციზის გადასახადის დინამიკა აქციზური პროდუქციის მიხედვით 2011-2014 წწ.



2014 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი

2014 წლის 9 თვის გადასახადების ფაქტიური შემოსავლების გათვალისწინებით, გაანგარიშებულია მიმდინარე წლის გადასახადების მოსალოდნელი მაჩვენებლები. გაანგარიშებები აჩვენებს, რომ 2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი მაჩვენებლების გადახრა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას პროგნოზირებული მაჩვენებლიდან დადებითია, რაც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელის გადაჭარბებით შესრულების წინაპირობაა.



ქვემოთ მოცემულია, წლის ბოლომდე მოსალოდნელი საგადასახადო შემოსავლების მოცულობები გადასახადის სახეობების მიხედვით და მათი შედარება თავდაპირველად დაგეგმილ მაჩვენებელთან.

2014 წლის საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი მაჩვენებლები

ათასი ლარი

	საწყისი პროგნოზი	მოსალოდნელი	სხვაობა
საგადასახადო შემოსავლები	**7 230 000**	**7 357 500**	**127 500**
საშემოსავლო გადასახადი	2 003 000	2 018 200	15 200
მოგების გადასახადი	795 000	803 400	8 400
დამატებული ღირებულების გადასახადი	3 305 000	3 377 000	72 000
აქციზი	769 000	815 900	46 900
იმპორტის გადასახადი	103 000	101 000	-2 000
ქონების გადასახადი	230 000	221 100	-8 900
სხვა გადასახადი	25 000	20 900	-4 100

ეკონომიკური აქტივობის ანალიზი დარგობრივ ჭრილში (დღგ-ს ბრუნვები) 2014 წლის იანვარ-აგვისტო

აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს 2014 წლის 29 სექტემბრის გავრცელებულ დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციას. 2014 წლის იანვარ-აგვისტოში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დღგ-ს ბრუნვები 13.1 პროცენტით გაიზარდა. აქედან, აგვისტო 9.2 პროცენტით.

მნიშვნელოვანია შევაფასოთ ეკონომიკის აქტივობა დარგობრივ ჭრილში. ეკონომიკური აქტივობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ საწარმოთა მიერ დეკლარირებული ბრუნვები. საწარმოების საქმიანობის სახის იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებული იქნა საქსტატის ბიზნეს რეგისტრის მონაცემები, რომლებიც აღნიშნული სახის ინფორმაციის ყველაზე აქტუალურ ინფორმაციას წარმოადგენს. ბაზების დამუშავების შედეგად გაირკვა, რომ იმ საწარმოების რაოდენობამ, რომლის საქმიანობის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა 2.8 პროცენტი შეადგენა.

2014 წლის აგვისტო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საწარმოთა ეკონომიკური აქტივობის ზრდა 2014 წლის აგვისტოს თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9,2 პროცენტით გაიზარდა. პროცენტული ზრდები დარგების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: სოფლის მეურნეობა 44,5 პროცენტი, მშენებლობა 32.7 პროცენტი, კომუნალური მომსახურების გაწევა 22,5 პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით 18.1 პროცენტი, საფინანსო საქმიანობა 10,2 პროცენტი, ელ. აირისა და წყლის წარმოება/განაწილების სექტორი 9,9 პროცენტი.

დარგი	სხვაობა ლარი	ზრდა %
სოფლის მეურნეობა	7,439,400	44.5%
დამამუშავებელი და სამთომოპ. მრეწველობა	15,880,244	2.5%
ელ. აირისა და წყლის წარმოება/განაწილება	14,163,826	9.9%
მშენებლობა	91,479,323	32.7%
ვაჭრობა	61,339,634	3.1%
სასტუმროები და რესტორნები	4,777,282	6.7%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	(4,387,841)	-1.0%
საფინანსო საქმიანობა	21,823,113	10.2%
ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით	29,948,804	18.1%
კომუნალური მომსახურების გაწევა	11,795,276	22.5%
სულ	**368,305,179**	**9.2%**



აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აგვისტოს ეკონომიკურ აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მშენებლობამ 2,3 პროცენტი, ვაჭრობამ 1,5 პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით 0,7 პროცენტი, საფინანსო საქმიანობა 0,5 პროცენტი, დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობამ 0,4 პროცენტი.



2014 წლის იანვარ-აგვისტო წინა წლის შესაბამის პერიოდთან

აგვისტოსგან განსხვავებული დინამიკით ხასიათდება იანვარ-აგვისტოს ჯამური მაჩვენებლები. საწარმოთა ეკონომიკური აქტივობა 2014 წლის იანვარ-აგვისტოში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.1 პროცენტით გაიზარდა. პროცენტული ზრდები დარგების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: მშენებლობა 32.7 პროცენტი, სოფლის მეურნეობა 24.1 პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით 18.8 პროცენტი, სასტუმროები და რესტორნები 12.5 პროცენტი, ელ. აირისა და წყლის წარმოება/განაწილების სექტორი 11,3 პროცენტი, ვაჭრობა 9.3 პროცენტი, დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობა 8,5 პროცენტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 8.2 პროცენტი;

დარგი	სხვაობა ლარი	ზრდა %
სოფლის მეურნეობა	34,143,309	24.1%
დამამუშავებელი და სამთომოპ. მრეწველობა	347,621,490	8.5%
ელ. აირისა და წყლის წარმოება/განაწილება	143,940,825	11.3%
მშენებლობა	563,121,942	32.7%
ვაჭრობა	1,291,547,337	9.3%
სასტუმროები და რესტორნები	56,659,858	12.5%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	235,738,585	8.2%
საფინანსო საქმიანობა	11,859,648	0.7%
ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით	237,528,510	18.8%
კომუნალური მომსახურების გაწევა	(23,933,382)	-4.7%
სულ	**3,718,587,319**	**13.1%**

აღსანიშნავია, რომ კლება დაფიქსირდა კომუნალური მომსახურების გაწევის სექტორში 4.7 პროცენტი.



2014 წლის იანვარ-აგვისტოს ეკონომიკურ აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ვაჭრობამ 4.5 პროცენტი, ხოლო შემდეგ მოდის მშენებლობა 2.0 პროცენტი, დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობა 1,2 პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარით 0,8 პროცენტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 0,8 პროცენტი;



საგადამხდელო ბალანსი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2014 წლის 30 სექტემბერს გამოქვეყნდა საგადამხდელო ბალანსის წინასწარი მაჩვენებლები, აღნიშნული ინფორმაცია დაზუსტდება 2014 წლის 30 დეკემბერს.

საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წინასწარი მაჩვენებელი 2014 წლის პირველ ნახევარში მშპ-ის 9.8% დაფიქსირდა.

მიმდინარე წლის II კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და მშპ-ის 9.5% შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ძირითადად დაფინანსდა კაპიტალური ნაკადებით: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (61.6%), სარეზერვო აქტივები (44%). სხვა ინვესტიციებში კი შეინიშნებოდა კაპიტალის მცირეოდენი გადინება.

დიაგრამა #1[4]



[4]დიაგრამა 1-ში მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების წყაროებიდან წარმოდგენილია მხოლოდ ფინანსური ანგარიშის ორი პუნქტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები.

მიმდინარე ანგარიში

მიმდინარე ანგარიშის დინამიკაზე 2014 წლის პირველ ნახევარში უარყოფითად იმოქმედა მისმა თითქმის ყველა კომპონენტმა. 2014 წლის იანვარ-ივნისში სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 16.3 პროცენტით გაიზარდა, მომსახურების და ტრანსფერტების ბალანსები 9.3 და 1.7 პროცენტებით გაუარესდა. თუმცა, გაუმჯობესდა შემოსავლის ბალანსი 10.6 პროცენტით, რაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მცირე ნაწილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე ანგარიში 2014 წლის პირველ ნახევარში 2013 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მშპ-ის მიმართ 4.0 პროცენტული პუნქტით გაუარესდა.

დიაგრამა #2



2014 წლის პირველ ნახევარში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდის ტემპი 6.1 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს, რაც ძირითადად გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლების შედეგად იმპორტულ სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელზე შიდა მოთხოვნის ზრდით.

მომსახურების ბალანსი გაუარესდა 9.3 პროცენტით. კლება გამოწვეული იყო ექსპორტის დაბალი და იმპორტის მაღალი ზრდის ტემპებით. აღნიშნული დინამიკით ხასიათდებოდა მომსახურების თითქმის ყველა დარგი.

მომსახურების ბალანსის კლება ძირითადად განაპირობეს ტრანსპორტის (წვლილი მინუს 5.3 პროცენტი), სადაზღვევო მომსახურების (წვლილი მინუს 2.5 პროცენტი) და სამთავრობო მომსახურების (წვლილი მინუს 1.9 პროცენტი) დარგებმა. მხოლოდ ტურიზმა შეარბილა მომსახურების ბალანსის გაუარესება 1.7 პროცენტით.

უმნიშვნელო კლება დაფიქსირდა წმინდა მიმდინარე ტრანსფერტების ანგარიშში (მინუს 1.7%), რაზეც სამთავრობათშორისო გრანტებმა და მუშაკთა გზავნილებმა 1.1% და 0.9%-იანი უარყოფითი გავლენა იქონიეს, შესაბამისად.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის მუხლში შემავალი კაპიტალური ტრანსფერტები 2014 წლის პირველ ნახევარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28.8%-ით შემცირდა, რაც თითქმის მთლიანად გამოწვეული იყო მთავრობის კაპიტალური გრანტების შემცირებით.

2014 წლის პირველ ნახევარში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 8.2 პროცენტით შემცირდა. თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეკლასიფიკაციის (110 მილიონის გადატანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მუხლიდან პორტფელური ინვესტიციების მულხში) გარეშე აღნიშნულ პერიოდში 15.7 პროცენტით გაიზარდა. 2014 წლის იანვარ-ივნისში რეინვესტირებული შემოსავლების 40.5 პროცენტიანი ზრდა მნიშვნელოვნად გადაწონა სააქციო კაპიტალში პირდაპირი ინვესტორების მიმართ ვალდებულებების მნიშვნელოვანმა გაუარესებამ (-48.4%).

2013 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიემართებოდა ენერგეტიკის (26.8 პროცენტი), საფინანსო საქმიანობის (17.1 პროცენტი) და მშენებლობის (11.7 პროცენტი) დარგებში. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში კი მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი ჩაიდო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის (34.9 პროცენტი) და მრეწველობის (31.4 პროცენტი) დარგებსა და უძრავი ქონებაში (12.5 პროცენტი).

დიაგრამა #3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით
(2014 წლის I ნახევარი)



საქართველო და მეზობელი ქვეყნები

ეკონომიკური ზრდა



ეკონომიკური ზრდის პროგნოზი

რეალური მშპ-ს პროგნოზი (2014-2016 წწ[5])

	2014	2015	2016
ყაზახეთი	5.7	6.1	-
აშშ	2.7	3.0	3.0
თურქეთი	2.3	3.6	4.5
ევროზონა	1.2	1.5	1.7
რუსეთი	0.0	0.3	0.3
უკრაინა	-6.5	1.3	3.1
სომხეთი	4,3	4,5	-
აზერბაიჯანი	5,0	4,6	-
საქართველო	5,5	5,0	5,5

[5] წყარო: ბლუმბერგი; მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ინფლაცია



სავალუტო კურსი (2014 წლის 31 სექტემბერი 2014 წლის 31 აგვისტოსთან შედარებით)



**შენიშვნა: ვალუტა რომლის მაჩვენებელი 100%-ზე მეტია გამყარდა ლართან მიმართებაში.*

სავალუტო კურსი (2014 წლის 31 სექტემბერი, 2013 წლის დეკემბერთან შედარებით)



**შენიშვნა: ვალუტა რომლის მაჩვენებელი 100%-ზე მეტია გამყარდა ლართან.*